+

პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №__

2026 წლის __ ივლისი

ქ. წყალტუბო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ 2026 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ანგარიში მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ 2026 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ანგარიში 2026 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ 2026 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა:
აპარატის უფროსი — გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:
განყოფილების უფროსი — მაია ბერაძე

კომისიის თავმჯდომარე — ლევან ჩანქსელიანი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-482620184**
თარიღი: **20/07/2026**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ.N27

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

გიგზავნით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის 2026 წლის I-II კვარტლის ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ.

დანართი 1 (ერთი) დოკუმენტი ელექტრონულად.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა

და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის 2026 წლის

I-II კვარტლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური აქტიურად აგრძელებს მუნიციპალიტეტში საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტულ-გამაჯანსაღებელი საქმიანობის სრულყოფასა და ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას.

2026 წლის პირველ ნახევარში, სამსახურის მიერ ინიცირებული და მხარდაჭერილი პროექტების ფარგლებში, განხორციელდა არაერთი მასშტაბური და მნიშვნელოვანი აქტივობა. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში სამსახურის პრიორიტეტულ მიმართულებებს წარმოადგენდა მუნიციპალიტეტში კულტურული გარემოს გაუმჯობესება, საგანმანათლებლო ინიციატივების ხელშეწყობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და ახალგაზრდების აქტიური ჩართულობა ადგილობრივი თვითმმართველობის პროცესებში.

- **3-4 თებერვალს** გაიმართა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოს ახალი შემადგენლობის შესარჩევი გასაუბრება. აღნიშნულ პერიოდში სპეციალურმა კომისიამ, მუნიციპალიტეტის მერის ხელმძღვანელობით, მოუსმინა 44 კანდიდატს.

  პროცესი მიმდინარეობდა კონსტრუქციულ გარემოში, სადაც კომისიის წევრებმა (მერიის, საკრებულოსა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლებმა) შეაფასეს ახალგაზრდების ხედვები და ინიციატივები.

  წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოს ჩამოყალიბება მიზნად ისახავს ახალგაზრდების მაქსიმალურ ჩართულობას ადგილობრივ თვითმმართველობაში.

- **26 თებერვალს** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეებს შორის ჩატარდა ინტელექტუალური თამაში - **„რა? სად? როდის?“**. ღონისძიება უკვე მესამე წელია ზურაბ მურვანიძის სახელს უკავშირდება.

- **27 თებერვალს** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში გაიმართა სამუშაო შეხვედრა მერთან, გენადი ბალანჩივაძესთან და მრჩეველთა საბჭოს 33 ახალ წევრთან, რომლებზეც ახალგაზრდებმა მუნიციპალიტეტის განვითარების საკუთარი ხედვები, მათ შორის ახალგაზრდული ჰაბის შექმნის, გარემოზე ზრუნვისა და კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის ინიციატივები წარადგინეს. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ მზაობა გამოთქვა მხარი დაუჭიროს საბჭოს წევრების შედეგზე ორიენტირებულ პროექტებს, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების მაქსიმალურ ჩართულობას ადგილობრივ თვითმმართველობაში.

- **3 მარტი – დედის დღე:** მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ დედის დღე მიულოცა და სიმბოლური საჩუქრები გადასცა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული გმირების — მამუკა სამაკაშვილის, რომან უგრეხელიძისა და მამია ფანცულაიას დედებსა და მეუღლეებს. შეხვედრისას პატივი მიაგეს გმირების ხსოვნას, აღნიშნეს მათი დედების ღვაწლი შვილების აღზრდაში და ხაზი გაუსვეს დედების დაფასების მნიშვნელობას.

- **5 მარტი – სასკოლო სპორტული ოლიმპიადა:** ქალაქ ქუთაისის სპორტსკოლაში

მერის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურმა
აღნიშნულ გუნდებს რეგიონალურ ტურნირში მონაწილეობისათვის ფინანსური მხარდაჭერა
გაუწია.

- **6 მარტს** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერმა ქალთა საერთაშორისო დღე — **8** მარტი მიულოცა ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრში“ დასაქმებულ ქალბატონებს და სიმბოლური საჩუქრები გადასცა.

- **8 მარტს,** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებით, ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი **ღონისძიება** გაიმართა, რომლის ფარგლებშიც მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს წევრებმა და კულტურის სამსახურის თანამშრომლებმა ქუჩაში შემხვედრ ქალბატონებს დღესასწაული მიულოცეს და სიმბოლურად ყვავილები გადასცეს.

- **12 მარტს** სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ფარგლებში ზესტაფონის მუნიციპალიტეტში გაიმართა რეგიონალური თამაში ფეხბურთში, სადაც მონაწილეობა მიიღო სსიპ „წყალტუბოს მუნციციპალიტეტის თამარ მეფის სახელობის სოფელ გეგუთის N1 საჯარო სკოლა“-მ. მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურმა აღნიშნულ გუნდს რეგიონალურ ტურნირში მონაწილეობისათვის ფინანსური მხარდაჭერა გაუწია.
-

- **22 მარტს** სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ფარგლებში სამტრედიის მუნიციპალიტეტში გაიმართა რეგიონალური თამაში ფრენბურთში, სადაც მონაწილეობა მიიღო სსიპ „წყალტუბოს მუნციციპალიტეტის სოფ. მაღლაკის N1 საჯარო სკოლა“-მ. მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურმა აღნიშნულ გუნდს რეგიონალურ ტურნირში მონაწილეობისათვის ფინანსური მხარდაჭერა გაუწია.

- **23 მარტს** სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ფარგლებში სამტრედიის მუნიციპალიტეტში გაიმართა რეგიონალური თამაში ფრენბურთში, სადაც მონაწილეობა მიიღო სსიპ ,,წყალტუბოს მუნციციპალიტეტის სოფ. გვიშტიბის საჯარო სკოლა“-მ. მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურმა აღნიშნულ გუნდს რეგიონალურ ტურნირში მონაწილეობისათვის ფინანსური მხარდაჭერა გაუწია.

- **7 აპრილს წყალტუბომ სპორტის საერთაშორისო დღე მასშტაბურად აღნიშნა.** ღონისძიება მოიცავდა რეგიონულ ოლიმპიურ ფესტივალს ხელბურთში, მძლეოსნობის ტურნირს გივი თალაკვაძის 100 წლის იუბილესადმი (200-მდე მონაწილით), ასევე ჭადრაკისა და მკლავჭიდის შეჯიბრებებს. დღესასწაული ადგილობრივი შემოქმედებითი კოლექტივების მუსიკალური ნომრებითა და ხელისუფლებისა და ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენელთა მონაწილეობით წარიმართა.

- **9 აპრილს** 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. თვითმმართველობის წარმომადგენლებმა მემორიალი გვირგვინებით შეამკეს და სასულიერო პირებმა დაღუპულთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადეს. ღონისძიების ფარგლებში, ასევე, მოეწყო 9 აპრილის ტრაგიკული დღის ამსახველი ფოტოგამოფენა, რომელმაც ქვეყნის თავისუფლებისთვის ბრძოლის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი.

- **1 მაისი ახალგაზრდული საღამო:** ჩვენი სამსახურის ორგანიზებითა და ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს აქტიური ჩართულობით, წყალტუბოში ახალგაზრდული შემეცნებითი

[illegible] 31-ე წლისთავთან დაკავშირებით, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა პატივი მიაგეს მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ხსოვნას. გმირთა მემორიალი და გვიშტიბის ძმათა სასაფლაო გვირგვინებით შეამკეს. ღონისძიებაზე ხაზი გაესვა ქართველი ჯარისკაცების ღვაწლს, ვეტერანების დაფასების მნიშვნელობასა და თაობებისთვის გმირობის ამბების გადაცემის აუცილებლობას.

- **„თამარობა 2026“ სოფელ გეგუთში:** წმინდა მეფე თამარის ხსენების დღესთან დაკავშირებით, ისტორიულ გეგუთის ციხე-დარბაზთან ტრადიციული სახალხო დღესასწაული გაიმართა. პროგრამა მოიცავდა საზეიმო წირვას, ტრადიციულ დოღს, სახალხო მსვლელობასა და თეატრალიზებულ წარმოდგენას, რომელმაც თამარ მეფის ეპოქის მნიშვნელოვანი ეპიზოდები გააცოცხლა. ღონისძიება ეროვნულ-პატრიოტული სიმღერებითა და ცეკვებით დასრულდა.

- **19 მაისი „ბოლო ზარი 2026“:** ჩვენი სამსახურის ორგანიზებით, წყალტუბოში საზეიმოდ აღინიშნა სასწავლო წლის დასრულება. ღონისძიებაზე კურსდამთავრებულებმა მრავალფეროვანი საკონცერტო ნომრები წარმოადგინეს, დღესასწაული კი სპეციალური მუსიკალური პროგრამითა და დიჯეის გამოსვლით დასრულდა. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ მეთორმეტეკლასელებს სკოლის დასრულება მიულოცა და სამომავლო წარმატებები უსურვა.

- **21 მაისი სახალხო დღესასწაული „ამაღლება“ სოფელ მაღლაკში:** ამაღლების დღესასწაულთან დაკავშირებით, სოფელში საზეიმო წირვა-ლოცვა და სახალხო ღონისძიებები გაიმართა. სკვერში საზეიმოდ გაიხსნა ილია ჭავჭავაძისა და ზვიად გამსახურდიას ბიუსტები, ასევე საქართველოს პატრიარქებისა და სოფლის ღვაწლმოსილი მოღვაწეების მემორიალური დაფები. დღესასწაულის ფარგლებში გაიმართა სპორტული აქტივობები და საბავშვო-ახალგაზრდული ცენტრის მიერ ორგანიზებული კონცერტი.

- **26 მაისი – საქართველოს დამოუკიდებლობის დღე:** წყალტუბოში ეროვნული დღესასწაული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალის ყვავილებით შემკობით დაიწყო. კულტურის ცენტრში გამართულ საზეიმო კონცერტში მონაწილეობა მიიღეს ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ივერიამ“ და ფოლკლორულმა ჯგუფმა „ნადურმა“. ღონისძიების ფარგლებში, სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების 1700 წლისთავთან დაკავშირებით, გამართული ესეების კონკურსი – „ღმერთი, სამშობლო, ადამიანი“ – გამარჯვებულები და მონაწილეები დაჯილდოვდნენ სამახსოვრო საჩუქრებით. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ დამსწრე საზოგადოებას მიულოცა დღესასწაული, ხაზი გაუსვა ქვეყნის თავისუფლებისთვის ბრძოლის ისტორიულ მნიშვნელობას და მოსწავლეებს პედაგოგებთან და მშობლებთან ერთად წარმატებები მიულოცა.

- **1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე:** მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა და ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს წევრებმა ინკლუზიური ცენტრის და დღის ცენტრ „პეპელას“ აღსაზრდელებს წმინდა ნინოს ხსენებისა და ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე მიულოცეს. ღონისძიების ფარგლებში საბჭოს წევრებმა ბავშვებთან ერთად სხვადასხვა შემეცნებითი და გასართობი აქტივობა გამართეს.

- **ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე:** დღესასწაულთან დაკავშირებით, კულტურის ცენტრში ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრის მიერ წარმოდგენილი იქნა მუსიკალურ-თეატრალიზებული სანახაობა „პატარა მოგზაურები“. პარალელურად, მოეწყო მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ხელმარჯვეთა წრის ნამუშევრების გამოფენა, რასაც ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები დაესწრნენ.

- **2-6 ივნისი ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი „ბათუმი - 2026“:** ახალგაზრდული [illegible]

- **5 ივნისი რესპუბლიკური ტურნირი მკლავჭიდში:** ჩვენი სამსახურის ორგანიზებითა და „სპორტული კლუბების გაერთიანების“ მხარდაჭერით, წყალტუბოს სპორტის სასახლეში ორდღიანი ტურნირი ჩატარდა. შეჯიბრში საქართველოს 15 მუნიციპალიტეტის 300-ზე მეტმა სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა. ღონისძიებაზე ხაზი გაესვა ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციისა და სპორტული ინიციატივების მხარდაჭერის მნიშვნელობას.

- **16 ივნისი ოტია იოსელიანის 96 წლისთავი:** მწერლის დაბადების დღესთან დაკავშირებით, ადგილობრივი თვითმმართველობისა და კულტურის სფეროს წარმომადგენლებმა ოტია იოსელიანის ხსოვნას პატივი მიაგეს. ღონისძიების ფარგლებში გაიმართა პოეტური პერფორმანსი, გაიხსნა ახალი ადმინისტრაციული და სახელოვნებო სივრცე „ოტიას ეზოში“ და პრეზენტაცია გაიმართა მწერლის ახალი წიგნისთვის – „ზოგი რამ სიბრძნისა“.

- **21 ივნისი ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ტურნირი:** წყალტუბოს სპორტის სასახლეში კედირი ჯიმშელეიშვილისა და დავით აფხაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი გაიმართა. შეჯიბრში საქართველოს 15 რეგიონის 200-მდე სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა. ღონისძიება, რომელიც ჩვენი სამსახურისა და „სპორტული კლუბების გაერთიანების“ მხარდაჭერით ჩატარდა, მიზნად ჭიდაობის პოპულარიზაციას და ნიჭიერი ახალგაზრდა სპორტსმენების გამოვლენას ისახავდა. გამარჯვებულები საზეიმოდ დაჯილდოვდნენ.

რელიგიური ორგანიზაციების მხარდაჭერა: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან რელიგიური ორგანიზაციების პროგრამის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის მასშტაბით არაერთ ტაძარსა და სასულიერო სასწავლებელს გაეწია დახმარება. დაფინანსება მოხმარდა ქალაქ წყალტუბოსა და სოფლებში: მაღლაკში, ხომულში, ცხუნკურში, პირველ წყალტუბოსა და ოფშკვითში მიმდინარე ტაძრების მშენებლობის, რეაბილიტაციისა და კეთილმოწყობის სამუშაოებს, ასევე, წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სასულიერო გიმნაზიის ინფრასტრუქტურულ გაუმჯობესებას.

2026 წლის პირველ ნახევარში განხორციელებულმა ღონისძიებებმა ნათლად წარმოაჩინა მუნიციპალიტეტის ძალისხმევა კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მიმართულებით. სამსახური აქტიურად მუშაობს დასახული გეგმების შესრულებაზე და მომავალშიც გააგრძელებს იმ პროექტების განხორციელებას, რომლებიც მნიშვნელოვანია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის თითოეული მოქალაქისთვის.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის
კულტურის, განათლების სპორტისა და
ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი: /რიმა მარგიანი/